

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

25 ივნისი 2018 წელი

2018 წლის 25 ივნისს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

ხუჭუა ვაჟა - გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ალადაშვილი გელა - გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
2. კვარაცხელია ნიკო - გთუნი-ს ბიზნესის მართვის კათედრის პროფესორი.
3. ვაშაკიძე ვალერიანი - გთუნი-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, პროფესორი
4. დოლონაძე ლევანი - გთუნი-ს იურიდიული სამსახურის უფროსი, პროფესორი.

კომისიის მდივანი:

მჭედლიშვილი მაია - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს სასწავლო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. ვაჟა ხუჭუა, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ ვაჟა ხუჭუას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. ვაჟა ხუჭუამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2018 წლის 02 მაისს გამოცემული ბრძანების (#01-01/30) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2018 წლის 05 ივნისიდან 2018 წლის 13 ივნისის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2018 წლის 25 ივნისი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2018 წლის 29 ივნისს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 10.05.2018წ.-16.05.2018წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 9 კაცით (ბიზნესის მართვის კათედრა - 3 პროფესორი; ჟურნალისტიკის კათედრა - 2 პროფესორი; საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა - 3 პროფესორი; ინფორმატიკის კათედრა - 1 პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 9 კანდიდატმა.

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 9 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, ვაჟა ხუჭუამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კონკურსანტებს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მათ მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მათი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

გიორგი	მათიაშვილი
ნონა	ახალაშვილი
ინგა	დიაკონიძე

ბიზნესის მართვის კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

მაია	უკლება
ნოდარ	ბაგრატიონი
ლალი	ჩაგელიშვილი

ჟურნალისტიკის კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

მარინე	ვეკუა
ნუგზარ	ფოფხაძე

ინფორმატიკის კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

თალიკო	ჟვანია
--------	--------

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (26, 27, 28 ივნისი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 29 ივნისს.
6. პროფ. ნონა ახალაშვილმა ამ ეტაპზე უარი განაცხადა გთუნი-ს უნივერსიტეტთან აფილირებაზე და შესაბამისად არ მოაწერა ხელი თანხმობის განცხადებას.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

კომისიის წევრები:

პროფ. გელა ალადაშვილი

პროფ. ნიკო კვარაცხელია

პროფ. ვალერიან ვაშაკიძე

პროფ. ლევან დოღონაძე

მდივანი:

მაია მჭედლიშვილი